ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასს-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობი	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირ. საშუალებები
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2018	-	-	-	5,347	-	-	-
დანამატები	200,872	5,560,946	23,887,380	735,456	1,344,006	54,971,535	316,961
აქტივების ჩამოწერა	-	-	(6,464)	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(140,028)	(1,135,669)	(73,825)	(113,713)	(3,183,972)	-
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2019	200,872	5,420,918	22,745,247	666,977	1,230,293	51,787,562	316,961
ბალანსი 31/12/2018	-	-	-	5,347	-	-	-
ბალანსი 31/12/2019	200,872	5,420,918	22,745,247	666,977	1,230,293	51,787,562	316,961

შენიშვნა 4 - წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს საგადასახადო აქტივს, რომელიც წარმოქმნილია მიღებული ავანსის შესაბამისად გადახდილ დღგ-ს გადასახადს და საბანკო გარანტიის საკომისიო გადასახადებს.

	12/31/2018	12/31/2019
გადახდილი გადასახადები	36,275,445	36,275,445
გადახდილი საკომისიოები	2,073,054	472,879
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	38,348,499	36,748,324

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები არსებითად მოიცავს პროექტის მშენებლობისთვის გამიზნულ მასალებს.

	12/31/2018	12/31/2019
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	20,473,633
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	20,473,633

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები მოიცავს საბალანსო ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ანარიცხებს. ასევე მოიცავს კონტრაქტიდან მისაღებ თანხებს, რომელიც აღრიცხულია დამკვეთთან დოკუმენტურად ჩაბარებულ და გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით აღიარებულ შემოსავლებს შორის სხვაობით.

	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო მოთხოვნები	-	696,952
მოთხოვნები კონტრაქტებიდან	-	18,225,306
გადახდილი ავანსები	-	19,349,067
ანარიცხის დარიცხვა	-	(400,920)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	-	37,870,403

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	20,046,018	2%	(400,920)	19,645,098
0-30 დღის ვადაგადაცილება	-	15%	-	-
30-60 დღის ვადაგადაცილება	-	30.00	-	-
60-180 დღის ვადაგადაცილება	-	45.00	-	-
180-360 დღის ვადაგადაცილება	-	100%	-	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	100%	-	-

შემცირებული გაუფასურების რეზერვით

(400,920)

საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019

20,046,018

19,645,098

შენიშვნა 7 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2018	12/31/2019
ლარი საბანკო ანგარიშებზე	90,197,321	687,318
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	148,311,923	99,132,976
ნაღდი ფული სალაროში	-	206,454
ჯამურად ფული სალაროში	-	206,454
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	238,509,244	100,026,748

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს,

	12/31/2018	12/31/2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,422,050	53,687,407
მიღებული ავანსები	-	237,805,555
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,422,050	291,492,962

შენიშვნა 9 - შემოსავალი მომსახურებიდან

პერიოდის შემოსავალი მოიცავს გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით კონტრაქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების, რეალურად გაწეული ხარჯების ხარჯთაღრიცხვის ბიუჯეტთან პროპორციით აღიარებულ შემოსავლებს:

	12/31/2018	12/31/2019
აღიარებული შემოსავალი	-	30,038,044
	-	-
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	-	30,038,044

შენიშვნა 10 - თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯები მოიცავს მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯებს და სხვა ისეთ ხარჯებს რომელიც არ არის გაწეული პროექტის მშენებლობის ბიუჯეტის ფარგლებში, მაგრამ მიეკუთვნება თვითღირებულების ხარჯებს

	12/31/2018	12/31/2019
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	-	10,945,042
დამხმარე მასალების დანახარჯები/შემენა	-	125,147
პირდაპირი ხელფასები	-	6,009,215
საიჯარო მომსახურების ხარჯები	-	1,053,690
საპროექტო მომსახურება	-	2,611,523
ცვეთის ხარჯი	-	4,319,640
კვების ხარჯი	132	534,851
სხვა ხარჯი	-	1,193,616
გადახდილი საკომისიოები	344,486	5,183,144
საწვავის ხარჯი	-	3,329,923
სულ თვითღირებულების ხარჯები	344,618	35,305,792

შენიშვნა 11 - საოპერაციო ხარჯები

	12/31/2018	12/31/2019
მომსახურების ხარჯები	-	1,698,172
იჯარის ხარჯი	2,752	(164,484)
ინვენტარის ხარჯი	220	318,346
კომუნიკაციის ხარჯი	-	15,858
კომუნალური ხარჯი	-	28,719
დაზღვევის ხარჯი	-	284,837
კომპიუტერის ხარჯები	153	72,831
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	-	67,631
საკონსულტაციო ხარჯი	-	1,765,982
მივლინების ხარჯი	-	69,840
ავიაბილეთების ხარჯი	-	1,005,263
კვების ხარჯი	205	1,493,483
საპროექტო მომსახურების და სამუშაო ფორმების ხარჯი	-	545,694
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	89,854
ანარიცხები	-	400,920
სულ საოპერაციო ხარჯები	357	7,692,944

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. კომპანიის ლიკვიდურობის რისკები მინიმალურია, ვინაიდან მას გააჩნია საკმარისი ფულადი რესურსები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დადებითი საკურსო სხვაობა წარმოქმნილია კონტრაქტით ფიქსირებული გაცვლითი კურსით, რომელის შესაბამისადაც ხდება წარმოქმნილ მოთხოვნებზე შესაბამისი ფულადი ნაკადების მიღება და რომელიც დაბალია საანგარიშო წლის ბოლოს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს კომპანიის დირექტორისათვის გადახდილ ანაზღაურებას რომელმაც შეადგინა 51 750 ლარი.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. მოქმედი სასამართლო დავები მოიცავს შრომითი უსაფრთხოების დარღვევისათვის წარმოქმნილ დავებს და ისინი არსებით გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსი Covid19, რომლის გამოც დაწესდა არა ერთი შეზღუდვა ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებით. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ეკონომიკურმა შეზღუდვებმა არსებითი გავლენა იქონია არ ერთ ბიზნეს სექტორზე. მიუხედავად, იმისა რომ ქვეყანაში ნებართვების საფუძველზე გრძელდებოდა მშენებლობის პროცესი და არ მომხდარა საქმიანობის შეჩერება, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე, ვინაიდან გართულდა წვდომა შრომით და სხვა რესურსებზე, რამაც შეანელა მშენებლობის პროცესი. აღნიშნული რისკები გავლენას არ ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, მაგრამ ვინაიდან პანდემიით გამოწვეული შესაძლოა ზიანის წინასწარ სრულად განსაზღვრა შეუძლებელია, ჩვენ მოველით რომ შესაძლოა გამოწვეულ იქნას დამატებითი რისკებიც, თუმცა მშენებლობის პროცესის სრულად შეჩერების რისკები არ არსებობს, ვინაიდან მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს და განიხილავს მიწოდების სხვადასხვა არხებს და რისკების წარმოქმნის შემთხვევაში ვთვლით რომ შესაძლებელი იქნება პროცესის მართვა.

მმართველობითი ანგარიშგება

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი (უცხოური საწარმოს ფილიალი) ს/კ 205368396 შექმნილია “შეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია, ჩინეთის სახელმწიფო (საიდენტიფიკაციო კოდი 911100007109338178), უცხოური საწარმოს ფილიალი სახით, ჩინური მხარის 100%-იანი წილით. წარმოება რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის თარიღი 2019 წლის 19 თებერვალი, რეგისტრაციის #B19009626).

კომპანიის მიმართ ყადაღა/აკრძალვა; საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება; მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება რეგისტრირებული არ არის. კომპანია არ იმყოფება მოვალეთა რეესტრში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნიკოლოზ დგებუაძის ქუჩა N18

დირექტორი: ჟან იუნგუ, ჩინეთი

ელ.ფოსტა: crbc_geo@126.com

ძირითადი საქმიანობა

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალის ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების განხორციელება საქართველოში (ავტობანების, გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობა და რემონტი). საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სააგენტომილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას უბისა-შორაპნის თანამედროვე გზის მშენებლობაზე.

კომპანია წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპანია CRBC (China Road and Bridge Corporation <https://www.crbc.com/site/crbcEN/index.html>) ფილიალი საქართველოში. შესაბამისად სარგებლობს ყველა იმ ბენეფიციტით, რასაც აღნიშნული ორგანიზაციის ბრენდი (ლოგო) ითვალისწინებს.

განვითარების პერსპექტივები

კომპანია ფუნქციონირებს გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული სამშენებლო საერთაშორისო სახელმწიფო კონტრაქტების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემოსავლების სტაბილურობას საფინანსო წლის განმავლობაში. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების განვითარებაზე ინციდენტური ფლუქტუაციები 2019 წლის განმავლობაში და მის შემდგომ Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენის გამო კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე არ შეინიშნებოდა.

თუმცა ჩვენი კომპანია შეეცადა მაქსიმალურად შეეფასებინა ასეთი რისკი და ამ რისკის თავიდან ასაცილებლად გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელმაც შეიძლება უმნიშვნელო გავლენა მოახდინოს კომპანიის მოგებაზე, თუმცა დღევანდელ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში უფრო მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის და თანამშრომლების შენარჩუნება, რომ მომავალში ამ კუთხით არ შეექმნას კომპანიას პრობლემები. აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის ხარჯებმა მნიშვნელოვნად (არსებითად) არ უნდა იმოქმედოს კომპანიის მოგების დონეზე.

არსებულმა სიტუაციამ დადებითი გავლენაც მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე და საშუალება მოგვცა დაგვეჩვენა, რომ ახალი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით შესაძლებელია კომპანიის ეფექტური მუშაობა და ნაწილი თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმში გადაყვანა.

ამგვარად, მენეჯმენტმა შეაფასა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული ეპიდემიოლოგიური რისკებით გამოწვეული შეზღუდვები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა ექონია ბალანსის შემდგომი პერიოდის ოპერაციებზე. კომპანიის ანგარიშგების მუხლების და ოპერაციების შესაბამისად ქვემოთ მოცემული პოზიციების მიმართ რისკები არ გამოვლენილა:

- შემოსავლების შემცირება
- გაუფასურებული ან ვადაგასული მარაგების ჭარბი რაოდენობის წარმოქმნა
- მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური რისკები
- სამუშაო ძალის არა საკმარისობა
- დაგეგმილი განვითარების გეგმების შეუსრულებლობა
- ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე მოთხოვნების არსებითი გაუფასურება
- მომხმარებელთა ქცევის შეცვლა, რომელმაც შეამცირა მოთხოვნა აუდიტის ობიექტის პროდუქტზე/მომსახურებაზე
- კომპანიის არა გადახდისუნარიანობით გამოწვეული ვალდებულებების ზრდა
- ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო რისკების გავლენა

პროექტი, უბისა-შორაპანის მონაკვეთზე ცემენტ-ბეტონის 4 ზოლიანი 13 კმ-იანი გზის, 27 ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობას ითვალისწინებს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური დავალების თანახმად, უბისა-შორაპანის მონაკვეთზე აშენდება 18 გვირაბი, რომელთა სიგრძეები მერყეობს 300 მეტრიდან 1600 მეტრამდე და 27 ხიდი, რომლიდანაც 13 განლაგებულია თბილისი-არგვეთას მიმართულებაზე, ხოლო 14 - აგრვეთა-თბილისის მიმართულებაზე .

უბისა-შორაპანის რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე (ჩუმათელეთი-არგვეთას გზის ნაწილია) დაგეგმილია სულ 51.6 კილომეტრამდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს. მონაკვეთის მშენებლობა ოთხ სექციად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი (I სექცია) – 11.7 კმ; ხევი-უბისას მონაკვეთი (II სექცია) – 12.2 კმ; უბისა-შორაპანის მონაკვეთი (III სექცია) – 13 კმ; შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი (IV სექცია) – 14.7კმ.

გარდა ამისა, პროექტი მოიცავს ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას, წყალანირების ფუნქციონალური სისტემების და სადრენაჟე სისტემების მოწყობას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმართვას.

ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთი E60 ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია და ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთია. მშენებლობა ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში.

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდი 2021 წლის დეკემბრამდეა განსაზღვრული. ვინაიდან შესრულების ვადები გათვალისწინებულია სამი წლით. იმის გამო რომ პროექტის დაწყება მოხდა დაგვიანებით მისი მოსამზადებელი სამუშაოების გამო, მოველით რომ მოხდება მისი გახანგრძლივება და საბოლოოდ დასრულდება 2022 წელს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულია დამკვეთი ზეპირსიტყვიერად და მიმდინარეობს ზუსტი ვადების შეთანხმება თუ რა ვადაში მოხდება პროექტის დასრულება. შესაბამისად პროექტის ხარჯთაღრიცხვა და შესასრულებელი სამუშაოს ნაწილი დაგეგმილია 2022 წელსაც. სამშენებლო სამუშაოებს ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს.

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:


- პროექტის განხორციელების შედეგად, უბისა-შორაპანის გზის მომხმარებლებს და განსაკუთრებით, ადგილობრივ მოსახლეობას, შეეძლოთ გადაადგილება ახალ, კომფორტულ და უსაფრთხო გზაზე. მგზავრობის დროს და ღირებულების შემცირება.
- შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;

- მიმდინარე და განხორციელებული პროექტების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავის დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- მატერიალური და არამატერიალური აქტივების ეფექტურად გამოყენება;

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს ბონუსური სისტემა, თითოეული კვალიფიკაციის პერსონალს აქვს თავისი ანაზღაურება (დანართში იხილეთ კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა დეპარტამენტების და დანაყოფების დეტალური აღწერით).

Construction of Ubisa - Shorapani Road Section of E60 Highway (F3) China Road and Bridge Corporation Organization Chart



საწარმოში ანაზღაურება გვაქვს როგორც ყოველთვიური, ისე საათობრივი, დღიურად და შესრულებული სამუშაოს ერთეულის მიხედვით. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა, მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

ხელმძღვანელობა მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)“ რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისათვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. მიზანი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა- ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით. ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება მათთვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და ორგანიზაციის „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდებარეობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით. ორგანიზაცია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ორგანიზაციის თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. ორგანიზაციას არსებობის განმავლობაში არ აქვს გამოცდილება, დაჭირვებოდა ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ღონისძიებები.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტი:

საბრუნავი კაპიტალი = მოკლევადიანი აქტივები - მოკლევადიანი ვალდებულებები = 212,649,730 - 292,041,079 = (79,391,349)

მიმდინარე აქტივები 212,649,730

ლიკვიდობის კოეფიციენტი 1 = $\frac{212,649,730}{292,041,079} = 0.73$

მოკლევადიანი ვალდებულებები 292,041,079

მიმდინარე აქტივები - მარაგები 212,649,730 - 20,473,633

ლიკვიდობის კოეფიციენტი 2 = $\frac{212,649,730 - 20,473,633}{292,041,079} = 0.66$

მოკლევადიანი ვალდებულებები 292,041,079

ფული და ფულის ექვივალენტები 100,026,748

ლიკვიდობის კოეფიციენტი 3 = $\frac{100,026,748}{292,041,079} = 0.34$

მოკლევადიანი ვალდებულებები 292,041,079

წმინდა მოგება 2,646,592

მოგება საკუთარ კაპიტალზე = $\frac{2,646,592}{3,000,739} = 87,02\%$

საკუთარი კაპიტალი 3,000,739

2019 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები:

შემოსავალი რეალიზაციიდან 30,038,044

აქტივების ბრუნვა = $\frac{30,038,044}{295,041,818} = 10,60\%$

სულ აქტივები 295,041,818

შემოსავალი რეალიზაციიდან 30,038,044

გამოყენების ინტენსივობა = $\frac{30,038,044}{82,368,830} = 38,14\%$

მ.ს. ღირებულება 82,368,830

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლისა და თვით მონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;

- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ორჯერ)
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ და მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოსა და საცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტი სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად, ჩინური გამოცდილების გაზიარებით და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ მონიტორინგის კომპანიასთან ამ სფეროში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების დასახვა და მონიტორინგი.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვან ნაწილს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებაზე მიუთითებს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

რისკების და გაურკვევლობის პირობებში, მენეჯმენტი მზადაა გაამჟღავნოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, კომპანიის ფუნქციონირებადობის რისკების არ არსებობის დასადასტურებლად და კრიზისულ პერიოდში ფულადი ნაკადების მოძიების/გამომუშავების სამოქმედო გეგმები, რასაც პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი დაედება საფუძვლად.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე პანდემიის სახით და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მსოფლიო ეკონომიკაზე არ დააყოვნა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე.

ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები საქართველოში წარმოიქმნება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული სტრატეგიული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, კომპანიის ამონაგების გენერირებას უმეტესწილად საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები. თუმცა კომპანიამ დააკორექტირა 2020 წლის ბიუჯეტი და აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით. ამ მიზნით კომპანია მოელის გარკვეული ლოკალური ხარჯების შემცირებას 30%-50% დიაპაზონში 2020 წლის განმავლობაში, რათა დააბალანსოს PCR და სხვა ტესტების და კარანტინის რეჟიმის გაზრდილი ხარჯები დაკავშირებული კვებასთან და თანამშრომლების სასტუმროებში და ნაქირავებ კერძო სახლებში განთავსებასთან. ეს ეხება მათ შორის, იმ გარემოებას, რომ საოფისე თანამშრომელთა ნაწილი კომპანიამ გადაიყვანა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რითაც კომპანია მნიშვნელოვნად შეამცირებს ოფისის ხარჯებს.

თუმცა, რადგანაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერ ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი

წარმომადგენელი

30.11.2020

განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვან ნაწილს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებაზე მიუთითებს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

რისკების და გაურკვევლობის პირობებში, მენეჯმენტი მზადაა გაამყდონ კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, კომპანიის ფუნქციონირებადობის რისკების არ არსებობის დასადასტურებლად და კრიზისულ პერიოდში ფულადი ნაკადების მოძიების/გამომუშავების სამოქმედო გეგმები, რასაც პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი დაედება საფუძვლად.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე პანდემიის სახით და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მსოფლიო ეკონომიკაზე არ დააყოვნა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე.

ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები საქართველოში წარმოიქმნება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული სტრატეგიული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, კომპანიის ამონაგების გენერირებას უმეტესწილად საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები. თუმცა კომპანიამ დააკორექტირა 2020 წლის ბიუჯეტი და აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით. ამ მიზნით კომპანია მოელის გარკვეული ლოკალური ხარჯების შემცირებას 30%-50% დიაპაზონში 2020 წლის განმავლობაში, რათა დააბალანსოს PCR და სხვა ტესტების და კარანტინის რეჟიმის გაზრდილი ხარჯები დაკავშირებული კვებასთან და თანამშრომლების სასტუმროებში და ნაქირავებ კერძო სახლებში განთავსებასთან. ეს ეხება მათ შორის, იმ გარემოებას, რომ საოფისე თანამშრომელთა ნაწილი კომპანიამ გადაიყვანა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რითაც კომპანია მნიშვნელოვნად შეამცირებს ოფისის ხარჯებს.

თუმცა, რადგანაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერ ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი

წარმომადგენელი

30.11.2020

Handwritten signature in blue ink.

